ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4195797

ნომერი: AR1632786

თარიღი : 24.09.2018

გაცემის თარიღი : 01.10.2018

გაცნობის თარიღი : 01.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , (ნაკვეთი 03/019) ; ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეთერ თანანაშვილი პ/ნ 01024023806
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 6/8 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
1. იპოთეკარის თანხმობები გაცემულია თანდართულ ფოტომონტაჟზე, რომელიც სამსახურში წარმოდგენილი არ არის. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ის ფოტომონტაჟები, რომლებზეც თანხმობები გასცეს იპოთეკარებმა, გაითვალისწინეთ, რომ უნდა დგინდებოდეს, რომ სწორედ ის ფოტომონტაჟი იქნება სამსახურში წარმოდგენილი, რომელზეც იპოთეკარებს თანხმობა აქვთ გაცემული ან წარმოდგენილ იქნეს განახლებული თანხმობები, რომელიც გაცემული იქნება იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ხელმომწერი პირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).
2. არ დგინდება ბაზისბანკის თანხმობაზე, სს „ლიბერთი ბანკის“, სს „ტერაბანკის“; სს „თიბისი ბანკის“ და სს „პაშა ბანკის“ თანხმობაზე ხელმომწერი პირების უფლებამოსილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იპოთეკარის სახელით აქვთ ასეთი თანხმობის გაცემის უფლებამოსილება ან წარმოდგენილ იქნეს განახლებული თანხმობები, რომელიც გაცემული იქნება იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ. რაც შეეხება სს „პაშა იათირიმ ბანკის“ თანხმობას არაა დამოწმებული, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს დამოწმებული სახის, გაითვალისწინეთ, რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ.
3. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის, 1 პუნქტის, ა) ქვეპუნქტის თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება ა) 60 მ2- მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5მ მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2მ მდე ჩაღრმავების მქონე
შენობა; აქედან გამომდინარე საჭიროა საპროექტო ნაგებობა მოიყვანოთ კლასთან შესაბამისობაში.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.